წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 2

განკარგულება

31/01/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „2014 -2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის - „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) განხორციელებისათვის, ევროკავშირისგან 718 244.92 ევროს ოდენობის გრანტის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 იანვრის N31/180 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ „2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის - „თანამშრომლობა მწვანე გარემოსათვის“ (BSB 1138) განხორციელებისათვის, ევროკავშირისგან უნდა მიიღოს გრანტი 718 244.92 (შვიდას თვრამეტი ათას ორას ორმოცდაოთხი ევრო და ოთხმოცდათორმეტი ცენტი) ევროს ოდენობით, რაც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 92%-ს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს (მერს) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „2014 -2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის - „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) განხორციელებისათვის, ევროკავშირისგან 718 244.92 ევროს ოდენობის გრანტის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო